ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# თითი

1993 ხუთშაბათი 26 აგვისტო
№34 (10625)
ფასი 10 კუპონი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი — გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

## გილოცავთ მარიამობას!

ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ იოანე მოციქულმა თავისს სახლში მიიღო ყოვლად წმინდა ღვთის მშობელი: მას შემდეგ ღვთისმშობელი ცხოვრობდა იოანესთან გარდაცვალებამდი. მიცვალების წინ სამი დღით ადრე მთავარ ანგელოსმა გაბრიელმა აუწყა მას გარდაცვალების დრო. ღვთის მშობელმა მოისურვა სიკვდილის წინათ ენახა მოციქულები, რომლებიც ამ დროს სხვადასხვა ქვეყანაში იყვნენ და ქრისტეს სწავლას ქადაგებდნენ. ისინი, თომას გარდა, ღვთის განგებით, ღვთის მშობლის სიკვდილის დღემდი მივიდნენ იერუსალიმს. მისი გარდაცვალების დროს მოციქულებმა დაინახეს, რომ გამოცხადდა იესო ქრისტე ანგელოსებით, მიიღო ყოვლად წმინდა სული ღვთის მშობლისა და აამაღლა იგი ზეცას, ხოლო სხეული მისი ანთებული ლამპრებითა და ფსალმუნთა გალობით მოციქულებმა მიასვენეს ბეთანიაში და დაასაფლავეს მღვიმეში. მესამე დღეს თომაც მოვიდა იერუსალიმს. მისი თხოვნით გახსნეს ღვთის მშობლის საფლავი, მაგრამ საფლავში მისი სხეული ვერ იპოვეს. მოციქულები განცვიფრდნენ, მაშინ დედა ხვთისა ზეციური ბრწყინვალებით და ანგელოსთა კრებით გამოეცხადა მოციქულებს და უთხრა „გიხაროდენ, მე მარადის ვიქნები მეოხი (მლოცველი) თქვენს წინაშე ღვთისა“.

ღვთის მშობლის გარდაცვალების დღეს ჩვენ ვეძახით ღვთის მშობლის მიძინებას და ვდღესასწაულობთ 15 აგვისტოს.

## არ დავუშვათ დანაკარგები

ეროვნულ სიმდიდრეს—ჩაის, სანამ მას სხვა, უფრო სარგებლობის მომტანი მცენარე შეცვლიდეს გაფრთხილება და მოვლა სჭირდება. მართალია სადღეისოდ არის დარგში წარუმატებლობის ფაქტორები, მაგრამ ასე ხელის კვრა, ასე ხელის აღება ვერაფერ სარგებელს მოუტანს ქვეყანას.

რაიონის მეჩაიეებმაც თითქმის აიღეს ხელი ამ კულტურაზე, ბევრგან იგი მოუვლელია, ბევრგან არ კრეფენ და ა. შ.

დღეისათვის რაიონში დამზადებულია 7 ათას ტონზე მეტი ნედლეული, აქედან ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატზე მოდის 1130 ტონა, ზედაეწერის საზოგადოებრივ მეურნეობაზე 1000 ტონა, შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებენ ახალაბასთუმნელები, მაგრამ დარგისადმი ზერელე დამოკიდებულებამ შრომის არასწორმა ორგანიზაციამ, საწვავის უქონლობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ უმნიშვნელო რაოდენობის ნედლეული მზადდება რიყეში, ცაიშში, ურთაში, რუხში, ოქტომბერში, კახათში და სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში.

მოკრეფილი ჩაი, ყველა როდი ჰბარდება მრეწველობას. კერძო მრეწველებმა, ყოველნაირი აღრიცხვის წესების დაუცავად, სათანადო ტექნოლოგიის დაუცველად დაიწყეს ჩაის პროდუქციის გამოშვება, რასაც აკლია მთელი რიგი პროცესებისა და იგი ცალკეულ შემთხვევებში სახიფათოც გახლავთ.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან პარტნიორობა კერძო პირებისა არ იძლევა სასურველ შედეგებს, ისინი თავს არიდებენ ელენერგიის საფასურის გადახდას, ბიუჯეტის საგადასახადო წესს და სხვა. იკარგება რესურსები. მდგომარეობის შესასწავლად მუშაობს საგანგებო კომისია კომერციული ფაბრიკების დოკუმენტაციის გაფორმების თაობაზე.

მკითხველთ დამატებით მიეწოდება კომისიის მიერ მოკვლეული მასალები.

შემოვიდა მეორე ვეგეტაციის ჩაი, არ უნდა დავუშვათ დანაკარგები.

## პარლამენტის საგანგებო სხდომაზე

20 აგვისტოს გაიმართა რესპუბლიკის პარლამენტის საგანგებო სხდომა, რომელიც მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის არჩევას მიეძღვნა.

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ოთარ ამბაკოს ძე ფაცაცია.

## შეფის დახმარებით

წელიწადია, რაც არ ფუნქციონირებს ოცდახუთ ჰექტარზე განლაგებული გრანდიოზული საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც დიდ როლს თამაშობდა მოსახლეობის სურსათით მომარაგების საქმეში, არადა, მისი ამოქმედება ამინდს შექმნიდა მოსახლეობის ფრინველის ხორცით მომარაგების საქმეში.

ფაბრიკის კოლექტივმა, რომელსაც უძღვება პროფესიით ინჟინერ—ტექნოლოგი ნოდარ მიქაია, იმსჯელა რა გზას დადგომოდნენ წარმოების ასამოქმედებლად, რომლის დანადგარ—მოწყობილობათა დაცვა არ იყო ადვილი დღევანდელ მძიმე სიტუაციაში.

ადგილობრივი რესურსები ვერ სწყვეტდა საკითხს, არარაობა გამოდგა საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს „ფრინველმრეწვის“ მესვეურთა შეპირებები. გაჭირდა მუშა—მოსამსახურეთა დასაქმება, ანაზღაურება, ვერ გაწვდნენ ელექტროენერგიისა და საწვავ—საცხები მასალების მაღალ ფასებს. სწორედ ამ დროს გამოჩნდა შეფი ორგანიზაცია—ზუგდიდის ექსპერიმენტალური ჩაის კომბინატი, მისი ხელმძღვანელი, მამულიშვილური საქმეების ქომაგი ნუგზარ გულუა, რომლის ინიციატივით ჩაის ბარტერიული გაცვლით დაიდო ხელშეკრულებები უკრაინის მონათესავე ფაბრიკებთან, რომელიც ითვალისწინებს თვის ბოლოსათვის ფაბრიკის დასაქონლებას ერთდღიანი წიწილებით, რომლის შეუფერხებლად გამოზრდის შესაძლებლობა გააჩნია ფაბრიკას. საქართველოს ფარგლებში გვარდება ფრინველის საკვების საკითხი.

პირველი შედეგების მიხედვით მომავალ წლებში განმეორდება ციკლი და საფუძველი ჩაეყრება შემდგომ წლებში ფაბრიკის სრულ დატვირთვას. შენარჩუნებულია კოლექტივის ძირითადი კონტინგენტი.

ვნახოთ, როგორც იტყვიან: იმედიც—პურია.

ბ. ანდრიაძე.

ოი საკვირველებავ, ოი, საკვირველებავ! ეს შენა ხარ ჩემო პირველკლასელო, ჩემო წუნიაბუტიავ, ჩემო ანცო და ცუღლუტო, ჩემო კევილეჭიავ, ჩემო სუღელო. გამარჯობა, ძლივს გიცანი. გაზრდილხარ, დავაუკაცებულხარ ამდვილეში, როცა არჩევანის გაკეთება შეგეძლება, როცა არ შეგეშინდება იმ კოჭებამდე კაბაჩაფართხუნებული ბოშა ქალის საცაა ხელს ჩამავლებს და გამაქანებსო, აი მაშინ დავსხდეთ და ვისაუბროთ. მანამდე თვითონაც დაიწერ. „თითი“, „თასი“ „მუხა“, „კუ“... შეივსება შენი რვეული მოგვიანებით ლექსსაც „ყაყაჩო და ყმაწვილი“ სწ[illegible]ი. იქნებ, ახლაც იცი. „ყაყაჩოსა [illegible]თა“...

## გამარჯობა პირველკლასელო!

რა მოგდის? რა ხდება? ააა, ემზადები? კი ვერ მივხვდი. უი, რა ლამაზი ჩანთა გაქვს? გიყიდეს უკვე? შენ ლექსებიც გეცოდინება. მითხარი რა? ყოჩაღ! კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებია.

პატარა ხარ, ცეროდენა რაზე გესაუბრო ჯერ შენ შეგნებულად არც არსებობ და ვერც ზღვარს ამჩნევ არსებობასა და არარსებობას შორის. ბეცი თვალებით უყურებ ყველაფერს. შენთვის თავისუფლება შებინდებამდე მინდვრად თამაშია, ქვა-ლორლებში ხეტიალია, ბედნიერება შოკოლადის ფილაა, გოგლი—მოგლია, ახალი ბურთია, მულტფილმების ცქერაა და კიდევ რა და რა. შენთვის ეს ქვეყანაც აღთქმული ქვეყანაა, ეს კუნძულიც—მწვანე კუნძული. გგონია ასე და რა გიყო. გეგონოს, ჯერ გეგონოს. ჩემგან ახლა რამის ახსნაც სრულიად ზედმეტია. ვერ გამიგებ ჩემო პირველკლასელო. მერე, როცა გაიზრდები, დავაჟკაცდები, ხუმრობით კი არა სინამდვილეში... თვალი აგეხილება თვალი. იმდენ რაღაცას დაინახავ. გინდაც არ გინდოდეს. ცხოვრება დაგანახებს მრავალწახნაგა და მრავალკუთხა.

შენ ჯერ ამ სტრიქონებსაც ვერ წაიკითხავ დედიკოს არ ეცლება. მამიკოს მით უმეტეს. კვლავ ბებო გამოგიჩნდება მფარველად. ბებოსთან გაქვს დიდი გული. ხომ იცი, სად ინახავს სათვალეებს. ჰოდა მიურბენინე. ხათრს არ გაგიტეხავს მოკლედ მეგობრები ხართ.

თითზე ჩამოსათვლელი დღეებილა დარჩა პირველ სექტემბრამდე, პირველ ზარამდე ეს ზარი უპირველესად შენთვის დაირეკება. შენ მოგიხმობს ის ჩემო პირველკლასელო. მჯერა, რომ უთენია გაეშურები სკოლისკენ. ჰიშკარს ცოტა დაბნეული და გაკვირვებული შეაღებ. ეზოში შეხვალ თუ არა, იქაც შეგხვდება დედა, იქაც დაგვხდება თბილი ოთახი. მალე შენსავით ცეროდენებს გაიცნობ და გამხნევდები. გადაშლი დედაენას. „ია“ იქნება პირველი სიტყვა, რომელსაც

სკოლაში ზოგჯერ ითამაშებ კიდეც. კი არ აგიკრძალავენ, რახან პირველკლასელი გახდი. ოღონდ იმ უცნაურ თამაშს ნუ ითამაშებთ, ამ ბოლო დროს რომ ამოიჩემეთ შენ და შენმა „ძმაკაცებმა“. ჰო, რა ჰქვია მაგას „ომობანა“. ეს გრადიო, ოპოზიციაო, პოზიციაო, ბუნკერიო, მტერი ამოვუჟლოთო, დათარეშობთ ჩვენს ქუჩაზე, შე უშნო, შე საძაგელო, რა იცი, ვინ მტერია, ვინ მოყვარე, ვინ ყვავი, ვინ ჩხიკვი ჩვენ ვერ გაგვირკევია მტყუან—მართალი. შენი რა ბრალია, ჩემო პირველკლასელო. უფროსებისგან ეს სიტყვები ალბათ ხშირად გესმის, გადაგედო.

ხვალ და ზეგ სკოლაში მიდიხარ. „ომობანა“ არ გინდა რა. „სახლობანა“ ითამაშეთ, „ექიმობანა“, „დამალობანა“, კიბის აშენებაში შეეჯიბრეთ ერთმანეთს, თოჯინებს უწამლეთ.

გლოცავ გეფერები ჩემო პირველკლასელო. პირველ ნაბიჯს დაგილოცავ, პირველ ასოს შენი პაწა ხელით გამოყვანილს. სუფთა ცა დაგებედოს ჩემო იმედო, ჩემო სიხარულო, ჩემო თმაქოჩორა ბიჭო, ჩემო კიკინებიანო გოგო.

მარინე ჯონჯუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა თვითდამკვიდრებისაკენ

# „ყველაფერი გამოსცადე, მისდიე კეთილს"...

**კობა ბუკია**—18 წლის, ზუგდიდის ეროვნული გიმნაზიის კურსდამთავრებული, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, მრავალშვილიანი ოჯახის ერთ-ერთი, შვილი,—წერს ლექსებს, ჩანახატებს, ნოველებს ეძებს სიმართლეს, თვლის, რომ აუცილებელია საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენა. ჭეშმარიტი ქართველის ქმედების განმსაზღვრელად ბიბლიას და „ვეფხისტყაოსანს" მიიჩნევს. თანატოლებისგან განსხვავებით ყოველი მისი დღე დატვირთული და საინტერესოა.

**—კობა, დაახლოებით ერთი წელია პრეზიდენტის მომხრეთა მიტინგებზე გხედავ:::**

—უფრო ადრეც, ჯერ კიდევ 89 წლიდან. მაშინ მერვე კლასში ვიყავი. აქტიურმა პიონერმა, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ და უკვე კომკავშირის კომიტეტის მდივნობისთვის გამზადებულმა, 9 აპრილის შემდეგ ყელსახვევი მოვიხსენი. ხოლო, როგორც ქართველი, 1989 წლის პირველ მაისს დავიბადე. საპირველ, მაისო დემონსტრაციისთვის ემზადებოდა ქალაქი. იმდროინდელმა ხელისუფლებამ წითელი დროშები გამოფინა. ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა წინა ღამით დროშები „გააქრო". „ბოროტმოქმედთა" ნაწილი „ჩავარდა". პირველ მაისს კი გაიმართა მიტინგი ამ ჯგუფის გათავისუფლების მოთხოვნით. მახსოვს, როგორ ვაჟკაცურად, ომახიანად, შევსძახე იმ დღეს, პირველად— „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს"—მეთქი და დავიბადე ქართველად...

**—მაშინ ჯერ კიდევ ერთად იყო მთელი ქართველობა. 9 აპრილს რაღაც დღეები გვაშორებდა და სანთლებით ხელში ერთმანეთს სულს ვუთბობდით... მერე გავითიშეთ, დავცალცალკევდით... შენ რატომ აირჩიე ზვიად გამსახურდიას გზა?...**

—შინაგანად ყოველთვის მაინტერესებდა გამსახურდიას მიერ განვლილი ცხოვრება. წვრილმანებიც კი მოვიძიე მის შესახებ და საბოლოოდ ეს გზა ვარჩიე. და მაინც მკითხავთ: რატომ? მერაბმა და ზვიადმა საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლამდე საკუთარი „მე" უარყვეს. იმ ძალამ კი, რომელიც გამოეყო ზვიად გამსახურდიას მრევლს, ეს ვერ შესძლო. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მეორე მხარეს არ უყვარს საქართველო. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათი უთანხმოების მიზეზი ისაა, რომ ისინი ვერ შეეგუვნენ გამსახურდიას კანონიერ პრეზიდენტად არჩევას. ვერ აიტანეს მისი აღზევება, რადგან პიროვნული „მე" ჯერ კიდევ ვერ დაამარცხეს.

**—ვინ არიან დღეს გამსახურდიას მომხრეები?**

—სამწუხაროდ, ბევრი ისეთი ადამიანი ვინც გამსახურდიას არ იცნობს როგორც პიროვნებას—მორწმუნეს, პოლიტიკოსს და მწერალს ერთ მთლიანობაში. ზოგისთვის ის ან მხოლოდ პოლიტიკოსია, ან მხოლოდ მწერალი. გამსახურდიას მომხრეები თავიანთ პრეზიდენტს ცოტა უკეთ რომ იცნობდნენ, ,როგორც „ღვთის მოშიშს", საქმეს უფრო არგებდა.

**—შენ გჯერა საქართველოს დამოუკიდებლობის, ან გამსახურდიას გზის გამარჯვების?**

—მჯერა. საქართველოს შეუძლია იყოს დამოუკიდებელი და მდიდარი ქვეყანა. ბევრი თვლის, რომ ქართველები ზარმაცები ვართ და ეს ხელს შეგვიშლის. არ არის ასე. „გეორგია", „ჯორჯია" მიწის მუშას ნიშნავს. ჩვენს სამშობლოს მიწის მუშების ქვეყანას ეძახიან. ოდითგანვე ხომ მივსდევდით მიწათმოქმედებას. ჩვენი სიზარმაცე ბედის უკუღმართობის შედეგია. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ქართველი გაირყვნა, გალოთდა, გაზარმაცდა და ერთგვარ სასოწარკვეთაში მოექცა. დღეს შიმშილია საქართველოში, მაგრამ ერი მალე დაუბრუნდება მიწას და დოვლათს შექმნის... ქვეყანა გამდიდრდება.

რაც შეეხება გამსახურდიას გზას, მე მჯერა მისი, რადგან ეს არის ფარნავაზ—ქუჯის, დავითის, თამარის, ილიას, მერაბის. ჭეშმარიტების გზა. რომ არა ეს რწმენა, არ შევქმნიდი მოსწავლეთა საგაფიცვო კომიტეტს, რომელმაც ექვსი თვის განმავლობაში ბევრი თანამოაზრე შეგვკრიბა ერთად. გამარჯვების მჯერა, რადგან ამ გზას ახალი, ინტელექტუალური თაობა მიჰყვება.

**—შენზე ამბობენ, ახალ საზოგადოებასაც ქმნისო..**

—უკვე ჩამოყალიბებული გვაქვს საზოგადოების პროგრამისა და წესდების პროექტი. მისი სახელწოდებაა „ძლევაი ჯვარისა". მიზანია ქრისტიანული რელიგიის შესწავლა, ეკლესია-მონასტერთა რესტავრაცია. ბრძოლა ამორალურობისა და უზნეობის წუმპედან ქართველი კაცის ამოსაყვანად. „ძლევაი ჯვარისა" საქართველოს მომავალზე ფიქრობს, მხოლოდ არა დაპირებებით, არამედ რეალური ქმედებით..

**—მორწმუნე ხარ?**

მაცხოვრისკარის ეკლესიის მრევლი გახლავართ..

**—თავისუფალი დრო თუ გაქვს?**

კი, ბატონო. ვუსმენ მუსიკას, ვთამაშობ მაგიდის ჩოგბურთს, ფეხბურთს, ვკითხულობ.

**—მაინც რას კითხულობ?**

—ძირითადად ქართულ ლიტერატურას. ვეცნობი ქართულ მწერლობას, საქართველოს ისტორიას. „ვეფხისტყაოსანი" ჩემთვის მარტო პატრიოტიზმი, გმირობა და მიჯნურობა როდია. იგი უფრო სხვაა, ჯერაც ბოლომდე შეუცნობელი. ისტორიის ჩაღრმავება ეროვნულობის შეგრძნებას მიძლიერებს. ჩემს ფესვებს მაძებნინებს..

**—ვინ არის შენი საყვარელი მწერალი?**

—ვაჟა-ფშაველა.

**—საყვარელი პოლიტიკოსი?**

—დავით აღმაშენებელი. პოლიტიკური რეფორმები, სამხედრო გადაწყვეტილებები, რელიგიური სიმაღლე—აი, ჭეშმარიტი დიპლომატია, ქართული დიპლომატიის უმაღლესი მწვერვალი.

**—შეყვარებული თუ გყავს?**

...მყავდა..: მიღალატა... ეტყობა, ის არ იყო, ის ვინც::: დარწმუნებული ვარ, ვიპოვი ჩემს ნეკნს, სამუდამოდ დავიბრუნებ და ვიქნებით „ერთ სულ, ერთ ხორც"...

**—შენი ასაკის ბიჭები ათასგვარი „გაგებებით" არიან გატაცებული...**

—ყველა „გაგებას" პატივს ვცემ. ყველგანაა მართალი და პატიოსანი. ბევრი „ისეთი" მეგობარიც მყავს. ბევრი რამ მათი „წეს—ჩვეულებიდან" არც ჩემთვისაა უცხო, მაგრამ.. ქრისტე ამბობს: „ყველაფერი გამოსცადე, მისდიე კეთილს".

**—ბიჭები ჩივიან, ზუგდიდი მომაბეზრებელია, კინო არ არის, თეატრი და გართობაო.**

—დღეს გართობის დრო ნამდვილად არ არის. ჩემი ტოლები გართობას და დროსტარებას თუ მიჰყვნენ, ჩვენს შვილებს ბედნიერი და თავისუფალი საქართველო არ ექნებათ. რომ იტყვიან, ღირსეული მამობა თუ არ გავსწორეთ, ჩვენი და მისი ასაწევი ტვირთით ზურგში გადაღუნული ჩვენი შვილები მოგვიკითხავენ, მამა, შენ რას აკეთებდიო? დროს ტარებაში და ქეიფში ვიყავიო,, ვუპასუხოთ? არ გვაპატიებენ:::

**—რაზე ოცნებობ?**

—ქართველი ერის სიყვარული უნდა დავიმსახურო.

**—მიტინგებზე რომ გაიძახი: „ძირს უსამართლო მთავრობაო", არ გეშინია, ამ მთავრობამ „37" გაიმეოროს. ბოლოსდაბოლოს, ადამიანები ერთხელ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე. შენ კიდევ, ძალიან ახალგაზრდა ხარ...**

„—წუთისოფელში რამდენი კაციც დადის, იმდენი წამების ჯვარი დადგა მამაზეციერმა". ჩემი წამების ჯვარი ესაა, მე არ მეშინია „ოცდაჩვიდმეტის" მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლე მიყვარს. სიკვდილით ვერავინ მოერევა სიცოცხლეს. ოცდაჩვიდმეტით ვერ დათრგუნავენ ქართველი ერის ლტოლვას თავისუფლებისაკენ.

**საუბარი ჩაიწერა Ნ. ᲛᲝᲡᲘᲫᲔ**

---

# ᲕᲣᲨᲕᲔᲚᲝᲗ!

**ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის უმეტეს სოფლებში მასიურად გავრცელდა ამერიკული თეთრი პეპელა, რომელმაც მეორედ მოასწრო გამოსვლა (გამოჩეკვა) მატლი განსაკუთრებით მოედო მრავალწლიან: ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის, თხილის და სხვა ნარგავებს. აუცილებლობა მოითხოვს სასწრაფოდ იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები. სრულ უმოქმედობას იჩენს ამ მიმართულებით მცენარეთა დაცვის სარაიონთაშორისო ორგანიზაცია.**

**ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელობამ უნდა დაავალდებულოს შესაბამისი ორგანიზაციები სასწრაფო ზომების მისაღებად. შეწამვლა უნდა მოხდეს მექანიზირებული წესით ტრაქტორით რომელსაც ექნება მისაბმელი აპარატი. შესაწამლავად უკეთესია გამოყენებული იქნას ზეთოვანი ემულსია და „ბი—58-ის" 2 პროცენტიანი კომბირებული ხსნარი, რომლის შესხურება უნდა მოხდეს მზიან და თბილ ამინდში. მალე მოსალოდნელია მატლი გადავიდეს ბოსტნეულ კულტურებზე, სიმინდზე, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. შეწამვლის შემდეგ 15-20 დღე არ შეიძლება ხილისა და ბოსტნეულის საკვებად გამოყენება.**

Მ. ᲨᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ,

ზუგდიდის გადამწონი ფაბრიკის აგრონომი.

---

ᲘᲛᲠᲐᲕᲚᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲯᲘᲨᲛᲐ

# ᲓᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲓᲒᲔᲡ...

**ამ დაძაბულ სიტუაციაში დროც კი არ გვრჩება, რომ ერთმანეთისადმი მეტი სითბო და ყურადღება გამოვიჩინოთ. არადა არიან ადამიანები, რომელთაც მოფერება სჭირდებათ, რათა იგი ორმაგად დაუბრუნონ საზოგადოებას.**

**დიალოგს რომელიც შედგა კახათის სასოფლო პოლიკლინიკის გინეკოლოგიურ კაბინეტში, გინეკოლოგ ციალა გიორგის ასულ ფიფია—წულაიასთან ვთავაზობთ მკითხველს:**

ქალბატონო ციალა, რამდენიმე, შეკითხვით უნდა მოგმართოთ.

რა უნდა გითხრათ ისეთი, რომ თქვენ არ იცოდეთ. ჩვენ ხომ მედა ჩემი ძმა გიგლა, თქვენს თვალწინ გავიზარდეთ. მამამ გიორგიმ, თქვენ რომ გიგას ეძახდით და წლების განმავლობაში მოღვაწეობდა „მებრძოლში" პასუხისმგებელ მდივნად, შემაყვარა ყველა ჟურნალისტი. მე რედაქციის კარებს ვეფერები როცა გავდივარ ამ სინდისნამუსის ტაძრის წინ.

—თქვენ მართალი ხართ. გიგა ბატონი იყო და დარჩა ჩვენს ხსოვნაში, როგორც უდიდესი პიროვნება, განუმეორებელი პროფესიონალი. მეგონა შვილებიც გაჰყვებოდით მამის კვალს და... მოხდა პირიქით, გახდით გინეკოლოგი, რამ განაპირობა ყოველივე?

—მამას ხიბლავდა ორსული ქალები. როცა ქალაქად მასეირნებდა, უცბად შეჩერდებოდა, თვალს მიადევნებდა ქალს და მეტყოდა: —შეხედე, შეხედე რა ლამაზიაო.., მე ირგვლივ მიმოვიხედავდი, მაგრამ განსაკუთრებული სილამაზის მანდილოსანს ველარ ვხედავდი. თურმე ორსულ ქალს აყოლებდა თვალს და ალტაცეშაში მოსული ჟღრიალებდა: ახლა დედის მუცელში ქვეყნის მომავალი ზის. სუნთქავს, იზრდება, ესმის მუსიკა, ესმის ყველაფერიო::: დავფიქრებულვარ მინატრია ბევრი შვილები, და მეც ქართული ჯიშის გამრავლების უინით დავიწყე სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში, დავამთავრე და... მეანგინეკოლოგმა ჩემს ზუგდიდში, ხეცერის მეურნეობაში, დავიწყე მუშაობა ქალთა კონსულტაციის გამგედ. გავთხოვდი ზუგდიდელ ინჟინერზე—კუჭუბა წულაიაზე, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა რუსთავში, მეც იქვე, სამშობიარო სახლში გავაგრძელე საქმიანობა. ათი წლის წინ მეუღლე ცერებრალური4 სისხლის მიმოქცევის მოშლის გამო საწოლს მიეჯაჭვა.. ჩამოვედით ზუგდიდში. გვყავს ეკონომისტი შვილი და რძალი, შვილიშვილი მაგდალინა, რომელიც ძალიან მუსიკალურია და მონაწილეობს სხვადასხვა ანსამბლებში.. **მამაც ხომ სიმღერის ტრფიალი იყო.**

ქალბატონო ციალა საინტერესოა როდის მოიკრიფეთ ამდენი ძალა, რომ უკვე ასაკში შესული ამ ძნელბედობის ჟამსაც, როცა ტრანსპორტი ასე ჰყრის, თქვენ ორსანტიის, კოკის, ახალკახათის, კახათის და განაპირა ხურჩის ქალებს რომ ემსახურებით ასე გატაცებით?

ო, ეს ძალიან საინტერესოა. მე ჩემი წილი ამ ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოვცადო. აი,, დღეს ქალაქში ტრაქტორით ჩამოვედი. ბიჭები შემეშველენ ასვლაში, მე მათ ვენაცვალე, და::: იცით რა განწყობა მაქვს, მიხარია კიდეც რომ არაფერს არ ვთაკილობ, ოღონდ ჩემ ქვეყანას და ხალხს, შევაშველო ხელი. ენერგიაო მეკითხებით, ენერგია მაშინ მოვიკრიფე როცა მარტო დავრჩი, როცა ჩემი სათაყვანებელი მშობლებიი გავაცილე უკანასკნელ სავანემდე. მე და ჩემი ძმა გიგლა ცოტას ვჭირდებით ცხოვრებაში. მამა ხშირად იმეორებდა ფრანგულ ანდაზას: თუ ცხოვრებაში მცირედი გყოფნის აი, ნამდვილი სიმდიდრე შენიო.

—ქალბატონო ციალა, თქვენ ისეთი, გონიერი ქალი ხართ, ადვილად მიხვდებით თუ რა აინტერესებს დღეს საზოგადოებას იკლო მშობიარობის რიცხვმა თუ, ,ღმერთმა ინება და იმატა?

**—შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. ნუ დავემდურებით მანდილოსნებს. მატულობს და მატულობს ქართველთა ჯიში. ამაში კახათის პოლიკლინიკის მთავარ ექიმს დიდებულ სპეციალისტს, ნოე კვარაცხელიასაც დავიმოწმებ.**

ძნელბედობის ჟამია საქართველოში, როგორ ეკიდებით ამ საკითხს?

—მე მოვიყვან ჟან—ჟორესის სიტყვებს: თვით ძლევამოსილი ომი—ესაა ბოროტება, რაც თავიდან უნდა ავიცილოთ ხალხთა სახელმწიფოებრივი სიბრძნით..,

და ბოლოს: ამ ღია გულიანი კაბით რომ დაბრძანდებით რამდენი წლისა ხართ ჩემო ციალა?

—?!ო, ეს არაა საინტერესო, იმდენი წლისა ვარ რამდენისაც გამოვიყურები. ერთი მსახიობისა არ იყოს: მე მას არ ვითვლი, რადგან არავინ წამართმევს.

—რას ინატრებდიით?

—დარი დაუდგეს ჩემს საქართველოს, მანამ კი ყველამ ერთად ერთ ქოლგას შევეფაროთ.

Გ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტემბრის ზარის ხიბლი

# კვლავაც დაიზრდებიან...

აკაკი წერეთლის სახელობის ზუგდიდის პირველ საშუალო სკოლაში 115 წლის წინ ჩამოკრა სასკოლო ზარი, ერთდროულად სკოლისა და თეატრის დასის ხელმძღვანელმა მწერალმა ანტონ ფურცელაძემ. ასი წლისთავი სკოლამ იზეიმა 1968 წელს. ამავე სკოლის პედაგოგს თამარ ჭითანავას და მე გვქონდა ბედნიერება ზეიმზე მოგვეწვია თბილისში მოღვაწე კურსდამთავრებულები.

პირველად ვესტუმრეთ მსოფლიო მასშტაბის ფტიზიატრს, აკადემიკოს ნიკოლოზ ანთელავას. ბატონი ნიკოლოზი ხელებს იბანდა ოპერაციის შემდეგ. ჩვენი მისვლის მიზეზის გაგებისთანავე, დერეფანშივე გაიხადა თეთრი ხალათი და გაგვიძღვა კაბინეტისაკენ. სავიზიტო ბარათის გადაცემისას ზე ჭლიმართა. მასში საოცარი ცვლილება მოხდა. თვალები გაუფართოვდა. სიხარული ველარ დამალა და ორივეს ხელზე გვეამბორა.

შემდგომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდ მეცნიერს ილია ვეკუას უნდა შევხვედროდით. ადვილად ვერ გავბედეთ მასთან ხლება. ვარჩიეთ წინასწარ მოვლაპარაკებოდით ზუგდიდელებს პროფესორ შოთა მესხიას, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს გვანჯი მანიას, დოცენტებს ნათელა კეშელავას, ტრიფონ მამფორიას და ტატო ცხადაიას, რათა მათ ეთხოვათ ბატონ ილიასათვის სურათის გადაღება საგაზეთო მასალისათვის.

შოთა მესხიამ განუმეორებელი ღიმილით გვითხრა: ოქრო კაცია, ჯობია შეხვიდეთ და გაეცნოთო. როგორც იქნა თავი დავიმშვიდეთ და გაბედულად შევედით რექტორთან. ჩამოსხდომა შემოგვთავაზა. სავიზიტო ბარათმა გაახარა. ჩვენი თხოვნის შესასრულებლად გარეთ გამოგვყვა. აქვე, კიბეებთან დაგვხვდნენ პირველ სკოლელები. ფოტოკორესპონდენტმა გოგოხიამ ფოტოზე აღბეჭდა უნივერსიტეტში მოღვაწე ზუგდიდელები, შემდეგ ბატონ ილიას სურვილით ყველამ ერთად გადავიღეთ სამახსოვრო სურათი.

შემდეგ მოვინახულეთ მშვენიერი მანდილოსანი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი თინა ფიჩხაია, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ჰეროვანი თამარ როდონაია, კაცი, რომელიც „დიდკაცობას" არ გაეფუჭებინა მინისტრი —საშა მელაძე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე რომან შეროზია, დოქტორები გიორგი ცანავა, გიორგი როგავა და სხვები და სხვები...

მაისის იმ დღეს, საზეიმო ელფერი დაჰკრავდა ბუნებას, ადამიანებს. ნიავი არხევდა საუკუნოვან მაგნოლიებს, ტოტებგაშლილი ჭადარი თავის ჩრდილქვეშ იფარებდა სასურველ სტუმრებს. სკოლის დირექტორი შოთა ხუბულავა, ყოფილი მოსწავლეები, მასწავლებლები, სტუმრები იკავებდნენ ტრიბუნას. თეატრის დირექტორმა საშა ეგუტიამ დიდებით მოიხსენია სკოლისა და სახელმწიფო თეატრის დამაარსებელი ანტონ ფურცელაძე, პედაგოგები: ანა და მიხეილ პატარაიები, არტემ ჭიჭიხია, არიადნა ჯოხთაბერიძე, ნინო კეშელავა, აკაკი და ნადია ფიჩხაიები, ლიზა ანჯაფარიძე, ცურუ და ვანო ოსიძეები....

გამოქვეყნდა დეპეშები. მილოცვას ასე ამთავრებდა ნიკოლოზ ანთელავა: ვამაყობ, რომ ვარ ამ სკოლის ყოფილი მოსწავლე.

კემბრიჯიდან —მხურვალედ ვესალმები სახელოვან იუბილარს. მიგულვეთ თქვენთან ერთად — ილია ვეკუა.

დიდ ზეიმს ულოცავდნენ სკოლას ანტონ ფურცელაძის შვილიშვილები, აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი, თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი კიკვაძე, პედაგოგი ცუცა იოსელიანი.

აკაკი შანიძემ, ვინძლო დეპეშა ვერ მიიღოსო სკოლამ, ასეთი შინაარსის წერილი გამოგზავნა:

—ზუგდიდის პირველ საშუალო სკოლას სულით და გულით ვულოცავ სახელოვან იუბილეს, მისი არსებობის 100 წლის თავზე, აკაკი წერეთლის სახელი, რომელიც მას ამშვენებს, საწინდარია, რომ ეს სკოლა კვლავაც ერთგულად ემსახურება იმ იდეალების დანერგვას მოსწავლეებში, რომლებიც ამ დიდმა მწერალმა საყოველთაოდ ცნ- რა თავდადება ერთგულება გამოიჩ- მხრის კაცმა ცოტნე სამშობლოსა და მეგო- ვის. ის ამბავი, რო თავის შემოქმედების ერთ თ წყაროდ აირჩია აკაკი წერეთელმა და შექმნა მშვენიერი პოემა „ნათელას" სახით, ჩირაღდანივით ბრწყინავს საქართველოს ისტორიაში, საუკუნეთა მანძილზე. „ჩონგური (საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო: სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი"... ერთ მძლავრ და უმნიშვნელოვანეს სიმთაგანია სამეგრელო თავისი ნიჭიერი, ფხიზელი და შრომელი მოსახლეობით.

იუბილეს გამოეხმაურა პრესა: ჩვენი გაზეთის სპეციალური ნომერი მიეძღვნა ამ თარიღს.

წელს 115-ე სექტემბრის სასკოლო ზარი გაიწკრიალებს დამოუკიდებელ საქართველოში, რისთვისაც თავი დასდეს ახალგაზრდებმა, მათ შორის ამავე სკოლის აღზრდილმა, მასწავლებელ ლუიზა ლომაიას ვაჟიშვილმა— მამუკა ცხადაიამ.

მჯერა, მდიდარი ტრადიციის მქონე სკოლაში კვლავაც დაიზრდებიან ხვალინდელი საქართველოს მშენებლები...

ბ. აბულაძე.

სპეციალისტი გვირჩევს

# ქოლერა და მასთან ბრძოლა

დიდი ხანია ეს დაავადება აღარ სწვევია ჩვენს მხარეს და ამიტომ ბევრი რამ დავიწყებას მიეცა. ეს არის მიზეზი იმისა, რომ დღეს, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიცვა ამ დაავადებამ და შესაძლოა ჩვენთანაც იჩინოს თავი.

ქოლერა ადამიანის უძველესი მწვავე ინფექციური დაავადებაა.

ქოლერით მხოლოდ ადამიანი ავადდება, ამიტომ ინფექციის წყარო არის თვით ქოლერით დაავადებული ადამიანი ან ჯანმრთელი ვიბრიონმატარებელი. გარემოში ვიბრიონები ხვდება პირის გზით, წყალთან ან საკვებთან ერთად. მაგრამ ვიბრიონთა პირში მოხვედრაც ხშირად არ იწვევს დაავადებას, რადგან მათ წინ ეღობებათ კუჭის წვენის სიმჟავე, ვიბრიონი იღუპება კუჭის წვენში.

ცნობილია, რომ კუჭის წვენის სიმჟავიანობა ძლიერ დაქვეითებულია უზომოზე ბევრი წყლის სმის დროს. ე. წ. ანაციდური გასტრიტით დაავადებულთ კი კუჭის სიმჟავე მუდამ დაბალი აქვთ—სწორედ ამ შემთხვევაში ვიბრიონი ადვილად გადალახავს კუჭის ბარიერს, შეიჭრება თორმეტგოჯა ნაწლავში, წვრილნაწლავში, სადაც რეაქცია მჟავე აღარ არის და იქ შეუფერხებლად გამრავლდება, ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ზედმეტად უხვი საჭმლის მიღების შემთხვევაში კუჭის ნორმალური სიმჟავეც არ არის საკმარისი ამ დიდი მასის გასაჟღენთად და ვიბრიონი შეიძლება გადაურჩეს მას. გადარჩენილი ვიბრიონი მრავლდება წვრილი ნაწლავის სანათურში, აქვე ნაწილი მათგანი კვდება (როგორც თავისთავად, ისე, ორგანიზმის დამცველი ძალების ზეგავლენით) და მათი დაშლის შედეგად წარმოიშვება ქოლერის შხამი—ქოლერის ტოქსინი (ქოლეროგენი), რომელიც აფერხებს ნატრიუმის შეწოვას ნაწლავის სანათურიდან სისხლში, რომელსაც შეიძლება მოყვეს მძიმე, ზოგჯერ საბედისწერო დარღვევები. ნატრიუმი ტოვებს სისხლს და ნაწლავის სანათურში გამოდის. ნატრიუმს აუცილებლად გამოყვება წყალი და ბიკარბონატები (სოდა), შემდეგ მარილიც. სითხის ნაწლავებში დიდი რაოდენობით გამოსვლა კი იწვევს ფაღარათს. წყლის დაკარგვა იწვევს სისხლის შესქელებას და მისი მიმოქცევის შეხელებას, ეს კი მიზეზი ხდება სისხლში ჟანგბადის ნაკლებობისა. საბოლოოდ ადამიანი კვდება წყლის, ზემოთ ხსენებული მარილებისა და ჟანგბადის უკმარისობის გამო—მაგრამ ეს ხდება მხოლოდ მძიმე შემთხვევაში. უფრო ხშირად კი 5—6 დღის შემდეგ ორგანიზმი გამოიმუშავებს იმუნიტეტს (ე. ი. უვნებელი ხდება ტოქსინის მიმართ), აღსდგება ნატრიუმის შეწოვა ნაწლავის სანათურიდან და მას მოყვება სხვა დარღვევათა აღდგენაც.

ხალხს ქოლერა ყოველთვის უმძიმეს დაავადებად აქვს წარმოდგენილი, რაც არ არის სწორი. დროულად და სწორად ჩატარებული მკურნალობისას ავადმყოფი ინკურნება ამ დაავადებისაგან.

მძიმე ქოლერისათვის დამახასიათებელია ხანმოკლე-ფარული, ე. წ. ინკუბაციური პერიოდი, რომელიც გრძელდება რამდენიმე საათიდან 2-3 დღემდე. ხოლო მსუბუქი დაავადების დროს გაგრძელდეს 5 დღემდე.

დაავადების პირველი ნიშანია უმტკივნეულო ფაღარათი, რომელიც სულ მალე წყლისებური ხდება, კარგავს სუნსა და ფერს და ემსგავსება ბრინჯის ნახარშს. ფაღარათს სულ მალე დაერთვის პირღებინება ასეთივე წყლისებური მასით, საგულისხმოა, რომ პირნაღები მასა უხვია, ხოლო გულის რევის გრძნობა კი ან სულ არ არის, ან ხანმოკლეა

ძალიან იშვიათად ჯერ პირღებინება იწყება, შემდეგ ფაღარათი, ხოლო პირღებინება ფაღარათის გარეშე არ არსებობს. ავადმყოფი თანდათან სუსტდება. სულ რაღაც 2-6 საათის შემდეგ ადამიანი ვარდება მძიმე მდგომარეობაში, რომელსაც ალგიდს უწოდებენ (სიტყვა „ალგოს"—ცივს ნიშნავს), კანი ცივია, დანაოჭებული, გალურჯებული, თვალები ჩაცვენილი, ხმა ეკარგება, არტერიული წნევა არ ისინჯება. გამოხატულია ძლიერი ქოშინი, კრუნჩხვები, მწებავი ოფლი, და ხშირად შერჩენილი გონება მიგვითითებს, რომ სიცოცხლე ჯერ არ ჩამქრალა. აქ მხოლოდ სასწრაფო ჩარევა გადაარჩენს ავადმყოფს—წინააღმდეგ შემთხვევაში ის განწირულია.

მაგრამ ქოლერა საერთოდ და მით უმეტეს უფრო ხშირად მსუბუქად მიმდინარეობს. უმტკივნეულო ფაღარათი, იშვიათი პირღებინება და ზოგჯერ მსუბუქი და ხანმოკლე კრუნჩხვებით შემოიფარგლება და 2—3 დღეში ადეკვატური მკურნალობით ავადმყოფი გამოჯანსაღდება. მაგრამ რამდენიმე ხნით ვიბრიონის გამომყოფი ხდება—ასეთ ავადმყოფებს ვიბრიომატარებლებს უწოდებენ. ასე რომ დღევანდელი ქოლერის დროს ერთ მძიმე ავადმყოფზე მოდის 4-5 მსუბუქი ავადმყოფი და 10-20 და მეტიც ვიბრიონმატარებელი.

ქოლერის სამკურნალოდ მოწოდებულია ისეთი ხსნარები, რომლებიც შეიცავს წყალს, ნატრიუმს, და ბიკარბონატებს ე. წ. „ტრისოლი" და „დისოლი" (ნომერ პირველი და ნომერ მეორე ხსნარი), რომელიც დაავადებულთა ასპროცენტიანი გადარჩენის გარანტიას იძლევა ყოველგვარი გართულების გარეშე. სიმძიმის მიხედვით გადასხმას იწყებენ ნაკადური წესით პირველი ათი წუთის განმავლობაში უნდა შეუყვანონ ერთი ლიტრი, შემდეგ კი 1—2 საათის განმავლობაში წონის დაახლოებით 10 პროცენტი, ამის შემდეგ ახდენენ წვეთობრივ გადასხმას იმ რაოდენობით რა რაოდენობის სითხესაც კარგავს ავადმყოფი.

როდესაც ავადმყოფის მდგომარეობა გამოსწორდება, აღსდგება წნევა, შეწყდება ღებინება და ფაღარათი, იმავე სითხეს აძლევენ დასალევად, მხოლოდ ამის შემდეგ უნიშნავენ დასალევად ტეტრაციკლინს 5 დღის განმავლობაში 0,5, 4—ჯერ დღეში იმ მიზნით, რომ დათრგუნონ ვიბრიონი და გამოჯანმრთელების შემდეგ არ დარჩეს ვიბრიომატარებლად.

რაც შეეხება ქოლერით მსუბუქად დაავადებულს მათაც აძლევენ ტეტრაციკლინს ამავე სქემით.

სტაციონარიდან (ჰოსპიტლიდან) ავადმყოფის გაწერა შეიძლება კლინიკური გამოჯანმრთელებისა და ვიბრიონმატარებლობისაგან განთავისუფლების შემდეგ.

ქოლერისგან თავის დაცვა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ჰიგიენის დაცვით. ამასთანავე პირველ რიგში ქოლერით დაავადებულები და ქოლერაზე საეჭვო პირები უნდა მოთავსდნენ ჰოსპიტალში, ხოლო კონტაქტში მყოფები —იზოლატორში, უამისოდ ქოლერასთან ბრძოლა უშედეგოა, ეს ღონისძიება კი ეპიდემიის მოსპობის გარანტიაა.

დაავადებულის გამოვლენის, მისი ჰოსპიტალში გაგზავნის შემდეგ ტარდება ძირფესვიანი დეზინფექცია და ყველას გამოკვლევა, ვინც კი ავადმყოფის ირგვლივ იყო (მათ კონტაქტირებულებს უწოდებენ) და აწვენენ განსაკუთრებულ ჰოსპიტალში, რომელსაც ეწოდება „ჰოსპიტალი კონტაქტირებულთათვის"), იქ მათ იკვლევენ და პროფილაქტიკისათვის აძლევენ ტეტრაციკლინს. დანარჩენებს კი იკვლევენ ბაქტერიოლოგიურად (თესავენ მათ განავალს) და მათაც აძლევენ ტეტრაციკლინს, მაგრამ რა თქმა უნდა ჩამოთვლილის შესრულება არ არის საკმარისი.

უნდა გვახსოვდეს, რომ რაკი ქვეყანაზე ხოლერა არსებობს, ყოველთვის არის მისი ჩვენთან შემოტანის საფრთხე, ხოლო უსაფრთხოების სრულ გარანტიას ჩვენ მივაღწევთ ჰიგიენის სამი სახის დაცვით: ეს გახლავთ პირადი კვების და საზოგადო ჰიგიენა (ამ უკანასკნელში ჩვენ ვაერთიანებთ კომუნალურ, სასკოლო, სპორტულ და სხვა სახის ჰიგიენის დაცვას). საზოგადო ჰიგიენის დაცვა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მოქალაქემ თვით დაიცვას და სხვასაც არ დაარღვევინოს სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი ეზოებში, ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და სხვა. თუ გარემო დავაბინძურეთ, ჩვენ ვერ გვიხსნის უხიფათობა, აი, ამიტომ ვიმეორებთ, რომ მხოლოდ ჰიგიენის სამივე სახის დაცვა—პირადი, კვებისა და საზოგადოებრივისა, მოგვცემს დაავადების აცილების სრულ გარანტიას. რაც შეეხება აცრას, ის მხოლოდ 30-50 პროცენტ გარანტიას იძლევა, ამიტომ ჩვენს სახელმწიფოში აცრას უტარებენ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, დანარჩენს კი ეპიდემიოლოგიური ჩვენების მიხედვით.

და ბოლოს ქოლერასთან ბრძოლა ხანმოკლე კამპანია არ გახლავთ. ვიდრე არსებობს ქვეყანაზე კერები ყოველთვის არის შესაძლებელი მისი ჩვენთან შემოტანა. ქოლერასთან ბრძოლა ბუზებთან და უწესრიგობასთან ბრძოლაა. უნდა მოისპოს ბუზების გამრავლების კერები, გასუფთავდეს ნაგვისაგან ქუჩა, გარემო, ეს კი არა მარტო ქოლერის, არამედ ყოველგვარი ნაწლავური ინფექციის პროფილაქტიკაა და მეტიც ჯანმრთელობის საწინდარია. სანიტარული კულტურის დაცვა ყველას ვალია.

გ. ქარჩავა,
ექიმ-ინფექციონისტი.

# ცვილის ფიჭის უჯრედიდან...

საოცრად უნიკალურია უჯრედა ცვილის ფიჭისა, წელიწადის ოთხივე დროს ის არის თაფლის მომცემი ფუტკრისათვის კვერცხის ბუდე, სამშობიარო, აკვანი, სამუშაო საამქრო, საწყობი, სამზარეულო, ბეღელი. აქ იბადება, იზრდება, აქედან იძლევა იგი ადამიანის ძვირფას სამკურნალო და შეუნაცვლებელ საკვებ ნივთიერებებს (პროდუქტებს).

ბუნებამ კაცობრიობას აჩუქა მზის ენერგიის უშრეტი ძალით შექმნილი და ცვილის ფიჭის უჯრედში აკუმლირებული სიმდიდრე —მეფუტკრეობის ძვირფასი პროდუქტები, რომელთა სასარგებლო თვისებები უხსოვარი დროიდან არის ცნობილი.

ადამიანი მეფუტკრეობის პროდუქტებს ძველთაგანვე იყენებდა სახალხო მედიცინაში. დღეისათვის კი პროპოლისი და თაფლი. ფუტკრის შხამი და ცვილი. ფუტკრის რძე და ჭეო ფართოდ შეიჭრნენ ფარმაკოლოგიაში. ისინი, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, სასწაულს ახდენენ ადამიანის ყველა სახის დაავადებათა მკურნალობის საქმეში. ბუნების ეს უბადლო საჩუქარი გამოიყენება არა მარტო მეცნიერულ და სახალხო მედიცინაში, არამედ კაცობრიობის მაღალკალორიული ბალანსირებული კვების პროდუქტებადაც.

მეფუტკრეობის მთავარი პროდუქტი —თაფლი სიცოცხლის ელექსირია. დღეგრძელ ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის საიდუმლოების გასაღები ფუტკრის პროდუქტებში უნდა ვეძებოთ... ისედაც საფუტკრეში ყოფნა ძალას მატებს და ამშვიდებს ადამიანს, აწყნარებს მის ნერვებს. იგი საფუტკრეში ლაღად ისვენებს, ამასთან უჩვეულო სიხარულის გრძნობასაც უფუძნებს მას. საფუტკრეში ყოფნა აქრობს უარყოფით ემოციებს. შემჩნეულია, რომ მეფუტკრეები გამოირჩევიან საოცარი სიკეთით, კეთილშობილებით, კაცთმოყვარეობით, მიზანსწრაფულობით. საკარმიდამო მებაღეობაში მოწყობილი საფუტკრე ერთგვარი გამაჯანსაღებელი პანსიონატი და აფთიაქია მისი პატრონისათვის.

დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მეფუტკრეობის განვითარებას.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათასეული წლების წინათ კარგად იყო განვითარებული მეფუტკრეობა საქართველოში, მეტადრე მის დასავლეთ ნაწილში. საკმარისია ითქვას, რომ ქართული ფუტკარი თვინიერებით, გამრავლების, ნექტარის მოპოვების და მეფუტკრეობის ძვირფასი პროდუქტების დაგროვების უნარით მსოფლიოში პირველ ადგილზე დგას. დიდი უპირატესობით სარგებლობს ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაცია. ამ პოპულაციის რუხი ფუტკრის ხორთუმის სიგრძე აღწევს 7,07 მილიმეტრს, რითაც ბადალი არ ყავს მსოფლიოში.

სამეგრელოს რეგიონში დიდი პრაქტიკული გამოცდილებაა დაგროვილი მეფუტკრეობის განვითარების საქმეში. აქ ეკოლოგიური პირობები უაღრესად ხელსაყრელია მისი შემდგომი განვითარებისათვის. მუხურის ხეობაში სამეგრელოს მთების კალთებზე, კოლხეთის ველ-მინდვრებზე ლაღად გრძნობს თავს ქართული ფუტკარი.

მეფუტკრეობა და სამგზის ოქროსმედალოსანი (ქ. ერფურტი —1961 წელი, ქ. ბუქარესტი—1965 წელი, ქ. მოსკოვი 1971 წელი) ქართული ფუტკარი ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყეა. გულდასაწყვეტია ის, რომ საქართველოში მეფუტკრეების შესაძლებლობა მინიმალურადაც არ არის გამოყენებული. ქართული ფუტკარი ევროპის კონტინენტზე და ამერიკაში სასწაულს ახდენს. რუხი ქართული ფუტკრის ერთი ოჯახიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში წელიწადში 180-240 კილოგრამ სასაქონლო თაფლს ღებულობენ. ეს მაჩვენებელი მაღალია გერმანიაში, ესპანეთში კრასნოდარის მხარეში. ჩვენთან, საქართველოში, რუხი ფუტკრის სამშობლოში, ერთ კულტურული ოჯახიდან საშუალოდ 7-8 კილოგრამ სასაქონლო თაფლს ღებულობენ წელიწადში.

საჭიროა თავი დავაღწიოთ სავალალო ჩამორჩენას. ყველას გვევალება ხელი შევუწყოთ თავმინებებული მეფუტკრეობის დარგის გადარჩენას და აღორძინებას. იმედს გვინერგავს ზოგიერთ ზუგდიდელ მოყვარულ მეფუტკრეთა ბეჯითი საქმიანობა, რომლებიც ამ ძნელბედობის ჟამს ფარ-ხმალს არ ყრიან და ძალ-ღონეს არ იშურებენ მეფუტკრეობის დარგის გადარჩენის საქმეში. მეფუტკრეობის დარგის დიდოსტატი, საოცრად ბეჯითი მოყვარული მეფუტკრე შოთა უბირია 25 წელია მუხლჩაუხრელად შრომობს ფუტკრის გადარჩენისათვის. მისაბაძ მაგალითებს გვაძლევენ ჩვენი ქალაქის და რაიონის მოწინავე ინტელიგენტები —მოყვარული მეფუტკრეები მიშა ზარანდია, ვალიკო შონია, კარლო მიქაია, ირვერ ჯალაღონია, ოთარ ანთია, ჟორა აკობია, ჟორა კუკავა, ჯემალ ჭანია, გენადი უბირია, შილიფე ვარდია, ნოდარ კვანჭიანი, რაფიელ თოლორაია, მერი ჯანაშია, სვეტა შეროზია და სხვები.

ყველა პროფესიის ადამიანებს, როგორც მოზარდებს, ასევე პენსიონერებს, შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ მეფუტკრეობის უძველესი ტრადიციების აღდგენის და ქართული რუხი ფუტკრის გადარჩენის საქმეში. შეგვიძლია შევქმნათ იმის პირობები, რომ წელიწადის ყველა დროს ჩვენს მშრომელებს უხვად ჰქონდეთ ცვილის ფიჭის უჯრედში აკუმლირებული ბუნების უბადლო საჩუქარი, მეფუტკრეობის შეუნაცვლებელი ძვირფასი პროდუქტები.

**ამირან შეროზია,**

ზუგდიდის ეთერზეთების კომბინატის დირექტორი, მოყვარული —მეფუტკრე.

---

პოეზიის კუთხე

## ციცინათელა

დიდი არ არის ციცინათელა—
მისთვის დიდია ღამე
ზაფხულის...
მისთვის ერთია ძილი და ვნება,
ოცნებაც, ღამე შემონახული.
და მოციმციმე, როგორც
მნათობი,,
არის პატარა, მაგრამ თავნება,
ღამეთევულის ჩუმი
გამრთობი,—
ხან გამოჩნდება, ხან იკარგება.
ეს უცნაური შუქის წვალება,
შებინდებისას ისევ გაკვესავს,
მერე ბუჩქებში მიიმალება
და ემსგავსება ჩამქრალ
ნაკვერჩხალს.

## როდემდე?!

შუაზე გაყოფილა საქართველო,
ძმამ ძმას მოუღერა მახვილი...
სევდას გაუთანგავს ქართლის
დედა,
მოჩანს ბაირაღი დახრილი.
ვაი, იმედებიც გაფრენილა,
კვლავ ჩვენი სისხლი დაღვრილი.
შუაზე გაყოფილა საქართველო,
ძმამ ძმას მოუღერა მახვილი...

**ნანა კაცია.**

---

### მილოცვა

აბელი კატუკიას ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ სიხარულს, სიკეთეს.

ლინა.

---

27 აგვისტოს, 17 საათზე, ჩვენი ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდება ფეხბურთის მე-5 ეროვნული ჩემპიონატის სეზონის გახსნა. ერთმანეთს ხვდებიან ზუგდიდის „ოდიში“ და ოჩამჩირის „ამირანი“.

ძვირფასო ზუგდიდელებო, გთხოვთ მობრძანდეთ.

შემოსული თანხა ჩაირიცხება საზოგადოება „ხსოვნის“ ფონდში.

**საფეხბურთო კლუბი „ოდიში“.**

---

გავიხსენოთ ღიმილი

## იუმორი

კაცმა მეორედ ნახა ცოლის საყვარელი თავის სახლში და წამოიყვირა:

—ეს უკვე მეტისმეტია! — ამოიღო რევოლვერი და დაუმიზნა.

—მოიცა, მოიცა, გეთაყვა!— უთხრა მან,—თქვენ ჩემი მოკვლა არაფერს მოგცემთ! თქვენს ცოლს სთხოვეთ, მეორე ოთახში გავიდეს. მაგას ნამუსზე ხელი აქვს აღებული და, მე თუ არ ვიქნები, სხვას მოიყვანს! მტერი არ გეგონოთ, მეც შეიარაღებული ვარ! მოდი, ჰაერში ორივემ ვისროლოთ, შენი ცოლი ვისაც მივარდება იმისი იქნოს!

მასპინძელს ჭკუაში დაუჯდა.

სროლის ხმაზე ცოლი გამოვარდა, კარადა გამოაღო და სიხარულით შესძახა:

—გამოდი, ორივენი დაიხოცნენ!

---

ჩანახატი

## ფიქრები ჩემს ქალაქზე

ო, როგორ მინდოდა მეხილე წელში გამართული, მხრებგაშლილი...

ო, როგორ მინდოდა მეხილე შენი კრიალა ქუჩა-ბანდებით, განთქმული ლამაზმანებით, რაინდული შემართების ვაჟკაცებით...

დადიანების სასახლე, წმინდა ტაძარი, ჭავჭავაძიანთ ასულის ნატერფალი, ქალაქის მშვენება, სიამაყე, მისი განუმეორებელი კოლორიტით...

მდინარე ჩხოუშიას პირას განლაგებული კოხტა სავაჭრო დუქნებით...

ბაზარი—უხვი, სუფთა, დახლებთან მდგომი თეთრხალათიანი მომღიმარე გამყიდველებით...

მარადმწვანე, სურნელოვანი დეკორატიული მცენარეებით დაბურული ულამაზესი დასასვენებელი პარკი—ქალაქის ორად გამყოფი (ო, ეს ორად გაყოფა), თითქოს ეჯიბრებიანო ერთმანეთს სიყვარულში, მუხლჩაუხრელი გარჯაში, ვაჟკაცობაში...

მხიარული ფერების სიუხვე ახალგაზრდობა—ლაღი, უკეთესი მერმისის მომლოდინე, შემქმნელი, შემომქმედი, თავისი სათაყვანებელი ქალაქის ხუროთმოძღვარი, მეჭირნახულე, მეისტორიე...

დედაო მიწავ! შენი მზრუნველი კალთა ბევრი მომხვდურისთვის გადაგიფარებია, შენი ძუძუთი გისაზრდოებია, სიკეთის მარცვალი გაგიღვივებია...

დღეს ვხედავ დაფერფლილ, დაფლეთილ შენს კალთას...

მხიარული ფერები გამქრალან, ჭარბობს შავი...

ქალაქი დათალხულია, დანისლულია...

დედაო მიწა! გაფიქრებაც კი მზარავს—ასე მგონია მიწისაგან აღიგვება ჩემი ლამაზი ქალაქი...

ღმერთმა გვაშოროს, ეს ხომ გადაშენების ტოლფასია, ცოტნე დადიანის გმირული წარსულის ერთგულების ღალატია...

არა, არა, ისევ აღსდგება ჩემი ლამაზი ქალაქი, ისევ მოიკრეფს ძალღონეს, მხრებგაშლილი, წელში გამართული ამაყად ივლის ცოტნე დადიანის ჯიში, სისხლისისხლთაგანი, ხორცი—ხორცთაგანი.

არა, არა, დაცემა არ უწერია ჩემს ქალაქს. ოი, დედაო მიწავ! რა ხიბლი და მაგიური ძალა გქონია...

შენი მიწის სურნელით ნასაზრდოები, თავაწეული, ისევ ამაყად ჩაუვლი შენს ულამაზეს ქუჩაბანდებს.

დანისლული ცა მოიწმინდება, საგანგებოდ გამოღებულა ჩემი პაწია ოთახის ფანჯრებში მზე უხვად შემოაფრქვევს თავის მომაჯადოებელ სხივს, მომილოცავენ მრავალჭირნახულ ჩემი სათაყვანებელი სამშობლოს გადარჩენას. უხვად გავილებ სითბოს, სიყვარულს გარშემო მყოფთათვის. ჩემს სიხარულს ვუწილადებ ცის კაბადონზე მოულურტულე ფრინველთ, ტყეში მოჟივჟივე ჩიტუნებს... ყველას, ყველას, ვისაც მიწვდება ჩემი მთრთოლვარე ხმა...

ფესვმაგარია ცოტნეს ჯიში—გადაშენება არ უწერია...

**ნათელა ესართია,**

პედაგოგი.
ქ. თბილისი.

---

ინდოელ კოსმეტოლოგთა რეცეპტები

## სილამაზე და სამკურნალო მცენარეები

ძვირფასო ქალებო! ვიცით, რომ ყველა თქვენთაგანის სურვილია გამოიყურებოდეთ მიმზიდველად. გთავაზობთ ინდოელი სპეციალისტების რჩევა-დარიგებებს:

კომბოსტო— შეიცავს სახის კანისათვის სასარგებლო არაერთ ვიტამინსა და მინერალს. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ არ გადააქცევთ კომბოსტოს ნახარშს. გააციეთ იგი და ჩამოიბანეთ სახე. ეფექტი გარდუვალია.

ხახვი— ანტისეპტიკია. თუ სახეზე ლაქებს შეამჩნევთ, ნუ დაღონდებით, აიღეთ ხახვი, გამოწურეთ წვენი და დაიდეთ მასში დასველებული საფენები. ხოლო თუ ცოტაოდენ თაფლსაც დაუმატებთ, ნაოჭების საწინააღმდეგო შესანიშნავ საშუალებას მიიღებთ.

პამიდორი —ეს ბოსტნეული შეიცავს პოტასიუმს და ვიტამინს, სწორედ ამიტომ იგი გამოიყენება ფერისმჭამელების წინააღმდეგ. განსაკუთრებით ეფექტურია ცხიმიანი კანისათვის.

---

### სარედაქციო კოლეგია

მეუღლე ნაზია. შვილები: თენგიზი, მაცი, ნანული. მზია. ზაირა ლეილა, მიმოზა ქუთელიები, და თამარა, რძლები ციალა, მანანა, ლირა, სიძეები ვალერი ცხაკაია, გრიშა წურწუმია, იურა აბესაძე, მურთაზი ხასია. შვილიშვილები: თეონა, თედო, სალომე, ნათია. მაცი ქუთელიები, მალხაზი, მაია, ასმათი, ასლანა, იკა, ელიტა და აზა, დისშვილები: ციური, გული, ლიანა, თინათინი, მარინა. გენო. ალიკო. ვახტანგი. ბადრი ხასაიები. ცოლისძმა ორესტი ჭეჟია, ცოლისდები თამარა, ოლია, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**მამია იაკობის ძე ქუთელიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 29 აგვისტოს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება რიგას ქ. №21-დან.

[illegible] ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-22-87, ტირაჟი 700, შეკ. №706.